პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 115 (9206)
14 ივნისი, შაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მედიცინა სპორტის სამსახურში

მედიცინა და სპორტი! ეს ორი დარგი დღეს წარმოუდგენელია ერთმანეთის გარეშე. არა მარტო იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც ადამიანის კეთილდღეობისა და მისი უპირველესი საგანძურის — ჯანმრთელობის სამსახურში დგანან. თანამედროვე სპორტული მიღწევები, სპორტის მეშვეობით ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარის დასადგენად გაშლილი კვლევა-ძიება უშედეგო იქნებოდა ამ ორი სფეროს მჭიდრო ურთიერთობის გარეშე.

იშვიათი შემთხვევაა, როცა ესა თუ ის დარგი მეორეს ისე უახლოვდება, რომ ორივე ერთად ცალკე მეცნიერებას ქმნის. სწორედ ასეთი ბედნიერი შემთხვევის შედეგად გაჩნდა მეცნიერების უაღრესად საინტერესო დარგი — სპორტული მედიცინა. ვფიქრობთ, უკვე ამ ორი სიტყვით ყველაფერია ნათქვამი.

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მრავალი დისპანსერი (მათ შორის — ბავშვთა დისპანსერებიც) ემსახურება ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, აღარას ვამბობთ სამკურნალო ფიზკულტურის დაწესებულებებსა და კაბინეტებზე.

ექიმებისა და მწვრთნელ-სპორტსმენთა ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობის გარეშე თანამედროვე სპორტში შეუძლებელია მაღალი შედეგების მიღწევა. ექიმების დაკვირვება სპორტსმენებზე და შემდეგ რეკომენდაციების შემუშავება მუდამ სასურველ შედეგს იძლევა. სპორტსმენი დაზღვეულია გადაწვრთნისგან, რაციონალურად ანაწილებს ძალებს ვარჯიშისა და შეჯიბრების დროს და ა. შ.

სპორტთან და სპორტსმენებთან უშუალო კავშირში არიან მედიცინის სხვა დარგის მუშაკებიც. სპორტს ხომ ზოგჯერ ტრავმებიც ახლავს. აქ კი თავის სიტყვას ამბობენ ჩვენი შესანიშნავი სპეციალისტები, რამდენი სახელოვანი სპორტსმენისთვის გაუხანგრძლივებია სპორტული ბიოგრაფია მათ მადლიან მარჯვენას.

ჩვენი სპორტსმენები ამჟამად საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისთვის ემზადებიან. საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრომ ყველაფერი იღონა რესპუბლიკის ნაკრები გუნდების საექიმო სამსახურით უზრუნველსაყოფად. ამ საკითხის მოგვარება კი არცთუ ადვილი საქმე იყო. საერთოდ ძალზე ცოტაა უშუალოდ სპორტული მედიცინის პროფილის ექიმი. მათ მოსამზადებლად მხოლოდ ბოლო წლებში გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. ამიტომ საჭირო გახდა ენთუზიასტი ექიმების, ასე ვთქვათ, ხელახალი კვალიფიკაცია. მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში არის რამდენიმე ექიმი, რომლებიც უკვე ათეული წლებია მუშაობენ სპორტსმენებთან და დიდი გამოცდილებაც შეიძინეს.

წელს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს, როგორც ვთქვით, დიდი გამოცდა ელით — ის, თუ როგორ გამოვალთ ხალხთა სპარტაკიადაზე, ნაკრებ გუნდებთან მომუშავე ექიმების უნარსა და საქმისადმი სერიოზულ მიდგომაზეც დიდად იქნება დამოკიდებული.

სპორტი და მედიცინა! ეს ორი დარგი სამუდამოდ დაუკავშირდა ერთმანეთს და მათი გზა აღარასოდეს გაიყრება, რადგან ორივე ერთ დიდ მიზანს — ადამიანის ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ემსახურება.

# აგიტბრიგადა ცხაკაიაში

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი პაპი ბოჟორიშვილი ტელეფონით გვატყობინებს:

აქ ჩამოვიდა აგიტმატარებელი „საქართველოს კომკავშირელი". როგორც უკვე იცით, მატარებელმა ფიზკულტურისა და სპორტის აგიტაციის მიზნით პირველად აიღო გეზი დასავლეთ საქართველოსკენ. ამასთან დაკავშირებით აბაშელებმა დააჩქარეს ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია. სტადიონის საზეიმო გახსნა სწორედ ამ დღეს მოეწყო, ხოლო რაიონის ყველა სოფელში გაიმართა ბავშვთა შეჯიბრებები ფრენბურთსა და ფეხბურთში. ამ ღონისძიებათა შორის ყველაზე მასობრივი იყო პირველი მაისის კოლმეურნეობაში ჩატარებული სპორტული ზეიმი, რომელსაც მასპინძლობდა სოფლის მშრომელთა საერთო ძალებით აგებული შესანიშნავი სპორტული კომპლექსი.

— ჩვენი ჯგუფის შესახვედრად აბაშის პარტიული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციები წინასწარ მომზადებულან.

ასევე საინტერესოდ ჩატარდა ღონისძიება ცხაკაიაში. შეხვედრები მოეწყო საწარმო-დაწესებულებებში, სპორტული გამოსვლები, მაგრამ ყველაზე საინტერესოდ ჩაიარა ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში საგიტაციო ღონისძიებებმა. შეკრებილები ყურადღებით უსმენდნენ წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს გიორგი ანთაძეს, რომელმაც გაიხსენა თავისი სპორტული ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდები...

აგიტმატარებელი მარშრუტს განაგრძობს.

მიმდინარეობს მოსწავლეთა XXXIV რესპუბლიკური სპარტაკიადა



რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს საქართველოს მოსწავლეთა XXXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები, რომლის პროგრამაში სპორტის 29 სახეობაა. ზოგიერთ სახეობაში უკვე განაწილდა საპრიზო ადგილები, ზოგიც ახლა იბრძვის გამარჯვებისთვის, საბოლოოდ კი ყველაფერი თვის ბოლოს გაირკვევა.

მათ შორის, ვინც ახლა გამოდის სარბიელზე, არიან წყალში მხტომელებიც, ისინი თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ასპარეზობაში თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.

**ბათუმელ ჯემალ ფშანავას ოჯახში 12 ქალიშვილი იზრდება. მათგან სამი ამ დღეებში მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობდა. ორი და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა აკრობატიკაში.**

იხ. მე-4 გვ.

### დღეს მასობრივი ღონისძიებებით მთავრდება ველოსპორტის კვირეული

ივნისი 14 შაბათი

### მედიცინის მუშაკთა 14 და 15 ივნისს ხალხმრავალი ტურისტული ლაშქრობებით აღნიშნავენ მედიცინის მუშაკის დღეს

# პირველი შეხვედრა, პირველი მოგება

ქალაქ პეტრუკვეში (პოლონეთი) დაიწყო ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 6 ქვეყნის 13 წარმომადგენელი. (სსრ კავშირი, პოლონეთი, გდრ, ჩინეთი, ინდოეთი, ბულგარეთი). მათ შორის არიან დიდოსტატები ნანა ალექსანდრია (სსრ კავშირი), ლიუ შილანი (ჩინეთი) და კრისტინა რაძიკოვსკა (პოლონეთი).

კარგად აიღო სტარტი ალექსანდრიამ. I ტურში მან დაამარცხა პოლონელი ბარბარა კოჩოროვსკა (პოლონეთი). მეორე საბჭოთა მოჭადრაკემ საერთაშორისო ოსტატმა ლარისა მუჩნიკმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ინდოელ ბაგიაშრი სატესთან.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# ორი გამოკვეთილი ლიდერი

კიევი. კალათბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირში ვაჟთა შეჯიბრების ცენტრალური მატჩი წესით მოსკოვისა და ლიტვის გუნდების ორთაბრძოლა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ კოლექტივებს სრულფასოვანი რეზერვი არა ჰყავთ და შეხვედრაც ერთობ უინტერესოდ ჩატარდა. ლიტველებმა 6 ქულით გაიმარჯვეს — 70:64.

გაცილებით უფრო საინტერესო იყო ლიდერთა მატჩი. უკრაინის კალათბურთელებმა მძაფრ ბრძოლაში ყაზახეთის წარმომადგენლებს სძლიეს — 78:75 და კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები. სხვა ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: ლატვია — ესტონეთი 83:63, ლენინგრადი — რსფსრ — 71:70.

ქალთა ტურნირში დაუმარცხებლად იბრძვის რუსეთის ფედერაციის კოლექტივი. მეოთხე შეხვედრა აზერბაიჯანის გუნდს მან „ასტრონომიული" ანგარიშით მოუგო — 112:59. სხვა მატჩები: ყაზახეთი — ლიტვა 71:61, ლენინგრადი — ბელორუსია 50:49, მოსკოვი — უკრაინა 61:60.

სსრ კავშირის თასი აფროსნობაში

# გურამ ბიგანიშვილი დაწინაურდა

კლაიპედა. აფროსანთა საკავშირო თასის გათამაშებაში გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო. ჩასატარებელი დარჩა ორ-ორი რბოლა, მაგრამ ბევრ კლასში მდგომარეობა საბოლოოდ გარკვეული მაინც არ არის.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ ოთხი რბოლის შემდეგ „ვარსკვლავის" კლასში ევროპის ექსჩემპიონი თბილისელი გურამ ბიგანიშვილი მეორე ადგილზე იყო, ასპარეზობას კი ბელორუსიის წარმომადგენელი ს. ხორეცკი ლიდერობდა. მერე ბევრი რამ შეიცვალა დაწინაურებულისათვის. ყოველ შემთხვევაში მას იმდენი საჯარიმო ქულა დაუგროვდა, რომ გამარჯვებაზე ფიქრი უკვე უაზრობაა. ხორეცკი ახლა მხოლოდ იმისთვის იბრძვის, რომ 46 საჯარიმო ქულით მესამე ადგილი შეინარჩუნოს.

ამ კლასში ლიდერობა ხელთ იგდო გურამ ბიგანიშვილმა. რვიდან შვიდ საუკეთესო რბოლაში მას მხოლოდ 17,1 საჯარიმო ქულა აქვს. მაგრამ ეს გამარჯვებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, ვინაიდან ამინდი კლაიპედაში მყარი არ გახლავთ და დარჩენილ ორ რბოლაში ყველაფერია მოსალოდნელი. თანაც ლენინგრადელი ვ. სოლოვიოვი ბიგანიშვილს მხოლოდ 0,6 საჯარიმო ქულით ჩამორჩება. ერთი სიტყვით, ფინიშზე მძაფრ ბრძოლას უნდა ველოდეთ.

შვიდი რბოლის შედეგებით „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში უკრაინელი ი. კარპაკი დაწინაურდა — 17,4 ქულა, კატამარან „ტორნედოს" ნავებში — ი. კონოვალოვი (რსფსრ) — 17,0, „სოლინგში" — ბ. ბუდნიკოვი (მოსკოვი )— 16,7.

# XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

MEXICO86

11.VI. მონტერეი. პოლონეთი — ინგლისი 0:3
11.VI. მეხიკო. მექსიკა — ერაყი 1:0
11.VI. ტოლუკა. ბელგია — პარაგვაი 2:2
11.VI. გვადალახარა. პორტუგალია — მაროკო 1:3
12.VI. გვადალახარა. ბრაზილია — ჩრდ. ირლან. 3:0
12.VI. მონტერეი. ესპანეთი — ალჟირი 3:0

## საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის წინ

# პრობლემების პირქარი...

**ქართველი** მეზღვაურები ფოთს, რა თქმა უნდა, თავიანთ ქალაქად თვლიან და მართლაც, ვის შეუძლია მათ ამ „საზღვაო ჭიშკარს“ შეეცილოს, მაგრამ საქართველოს ნიჩბოსანთა, აფროსანთა და წყალმოთხილამურეთა . შეჯიბრებების კალენდარს თუ გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ ეს ქალაქი არა მარტო მეზღვაურთა, ჩვენი რესპუბლიკის „სპორტული ფლოტილიის“ ნავსაყუდელიც გახლავთ. წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისთვის მზადებისას, საბაიდარო და აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატებმა ტრადიციულად აქ გამოიზამთრეს — შეკრებებიც მოაწყვეს და შეჯიბრებებიც. ფოთში ჩატარდა ორივე სახეობის ნიჩბოსანთა და აფროსანთა საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები, აქვე გაიმართა წყალმოთხილამურეთა ღია რესპუბლიკური პირველობაც.

წესით, ამ შეჯიბრებების შესახებ ცალ-ცალკე უნდა გვესაუბრა, მკითხველისათვის შედეგებიც გვეცნობებინა და, თუ რამ ნაკლს შევნიშნავდით, ისიც აღგვენიშნა, მაგრამ გადავწყვიტეთ ოთხივე შეჯიბრებაზე ერთად მოგითხროთ, რათა ყურადღება გავამახვილოთ არა პირად მიღწევებზე, კონკრეტულ სპორტულ მაჩვენებლებსა და ნაკლოვანებებზე, არამედ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელთა მოგვარებასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სახეობების შემდგომი განვითარებისათვის. სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობების წინ, რა დროს ამაზე ლაპარაკია, თანაც ამ რუბრიკის ქვეშო—იკითხავთ. მაგრამ პრობლემები ყველაზე ნათლად ხომ სასპარტაკიადო სამზადისისას იკვეთება და, ჩვენი აზრით, სწორედ ახლაა დროული მათზე საუბარი.

ფოთში, ჩვენი რესპუბლიკის საწყლოსნო-„სანაოსნო“ სახეობების ერთ-ერთ ცენტრში განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა იმ საერთო გულისტკივილის საბაბი, სახელად „დაკარგულ დროზე წუხილი“ რომ მოუხდებოდა. ვის სჭირდება იმის შეხსენება, რომ ყველა პრობლემას ძირითადად ბაზების მოუწყობლობა წარმოშობს... მეცხრე სპარტაკიადა კარს მოგვადგა, აქაური ბაზების მოწესრიგება კი მეათე სპარტაკიადისთვის თუ მოესწრება. ასეა, დროსა და სპორტის სადღეისო მოთხოვნებს ბევრმა ჩვენმა ბაზამ ვერ აუწყო ფეხი, მაგრამ რას ვიზამთ, მომავლისათვის მზადებაც (თუნდაც ნაგვიანევი) საქმეა და ჩვენც ოპტიმისტები ვიყოთ, მით უმეტეს, თუ საამისოდ საფუძველიც გვაქვს და ერთი სასიამოვნო გამონაკლისიც არსებობს, რომელიც ცალკე საუბრის თემაა.

ვინაიდან ჩვენს გაზეთში უკვე გამოქვეყნდა მასალა ნიჩბოსანთა სასპარტაკიადო სამზადისზე, ფოთში ჩატარებული შეჯიბრებებიდან ამჯერად უფრო ვრცლად აფროსნებისაზე მოგითხრობთ. ნიჩბოსანთა გასაჭირის მცოდნენი, ბუნებრივია, „ვარდისფერი სურათის“ ხილვას არც მათ „ნათესავებთან“ ველოდით. სამწუხაროდ, არც შევმცდარვართ. აფროსნებთან მცირე ხნით საუბარმაც კი მაშინვე დაგვარწმუნა, რომ ჩვენი აფროსნობის „ხომალდის“ წინსვლას პრობლემების პირქარი აფერხებს.

პირველივე რბოლამ კრიტიკულად განგვაწყო. ბათუმელი ელენე რაიკოვა ქალთა შორის „ვინდგლაიდერებით“ (ე. წ. „აფრიანი დაფებით“) შეჯიბრების ერთადერთი მონაწილე აღმოჩნდა და თუ სადმე სამართალია, ჩემპიონის ტიტულთან ერთად სიმბოლური პრიზიც უნდა მიეღო, რომლისთვისაც შევველოლო. ვთქვათ, „ეული აფრა“ დაგვერქმია. ის ფაქტი, რომ მისი ძირითადი მეტოქე, თბილისელი ირინე მასევიჩი ამ დროს სევასტოპოლში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობდა, მდგომარეობას სულაც არ ამსუბუქებს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში შენიშვნას ადგილებზე მომუშავე მწვრთნელები იმსახურებენ, მაგრამ ვაი თუ აფროსნობის პრობლემებში ჩახედულებმა გვისაყვედურონ: „იმდენი რა მიგიციათ, რასაც სთხოვთო“. კაცმა რომ თქვას, საყვედური სამართლიანი იქნება. ბათუმის „ვოდნიკის“ ბაზის გარდა, ჩვენს რესპუბლიკაში ვერსად ნახავთ ისეთ საიალქნო კლუბს, რომელსაც სერიოზული მოთხოვნები შეიძლება წავუყენოთ. აჭარის წარმომადგენლებს აკი არც გასჭირვებიათ გუნდური პირველი ადგილის მოპოვება. მოსალოდნელი იყო, რომ ბათუმელებს ყველაზე მძაფრ კონკურენციას აფხაზეთის აფროსნები გაუწევდნენ, მაგრამ... მათი გუნდის მიერ მოპოვებული მეოთხე ადგილი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ ამ სახეობაზე აფროსნობის განვითარებისთვის ასეთ ხელსაყრელ რეგიონში. ფოთელებმა იყოჩაღეს და მეორე ადგილზე გავიდნენ. მესამე ადგილი თბილისელებს ხვდათ წილად.

საქართველოს აფროსანთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ზაურ ხუხუას ვთხოვეთ პირველ რიგში სასპარტაკიადო სამზადისზე მოეთხრო.

— რესპუბლიკის ნაკრები გუნდი ფაქტიურად უკვე დაკომპლექტებულია, — გვითხრა მან. „ვინდგლაიდერით“ სოხუმელი რუსლან ვადალაშჩენკო და ელენე რაიკოვა იასპარეზებენ, ირინე მასევიჩი თადარიგში იქნება. „სხივის“ კლასში ფოთელი ვიქტორ კოლოსოვი გამოვა, „ფინით“ — თბილისელი პაატა გოგიჩაიშვილი. „470“-ის კლასში ვაჟთა შორის იასპარეზებენ ბათუმელები — მესაჭე ოლეგ ფომენკო და მატროსი მიხეილ გორბუნკოვი, ქალთა შორის — ფოთელი ანასტასია მიტროფანოვა და სოხუმელი ელენე ობედკოვა. „მფრინავი ჰოლანდიელით“ ბათუმელი ალექსანდრე დოლოგლონიანი და მისი თბილისელი სეხნია მაზაევი გამოვლენ. დაკომპლექტებულია „სოლინგის“ ეკიპაჟიც: ბათუმელები, აბესალომ რამიშვილი, ალექსანდრე ზუბარი და სოხუმელი ვლადიმერ რუბცოვი. თუ „ვარსკვლავისებურის“ კლასში გურამ ბიგანიშვილის გამოყვანის ნებართვას ვერ მივიღებთ, მაშინ სასპარტაკიადო შეჯიბრებაში გამოსვლა სოხუმელებს — ალექსანდრე სობოლსა და ედუარდ ვართანიანს მოუწევთ. სპარტაკიადისთვის მზადება შარშან, ჭაბუკთა რესპუბლიკური თამაშების დამთავრებისთანავე, აგვისტოს ბოლო რიცხვებში დავიწყეთ. გეგმის მიხედვით, ჩვენთან თუ სხვაგან გამართულ ბევრ შეჯიბრებაში მივიღეთ მონაწილეობა. მზადების დასკვნით ეტაპზე ტალინში შევიკრიბებით, იქ, სადაც აფროსანთა სასპარტაკიადო შეჯიბრება უნდა ჩატარდეს. მერვე ადგილს „ვუმიზნებთ“. ნაკრებ გუნდთან ჩემთან ერთად მუშაობენ ბათუმელი მწვრთნელები ვალერი კალფა და ალექსანდრე მაზუროვი, ფოთელი ჯუმბერ ცომაია და სოხუმელი ვიქტორ ვადალაშჩენკო.

აფროსნობის საერთო პრობლემებზე საუბარი, როგორც ველოდით, ბაზების მოუწესრიგებლობაზე, სიცოტავეზე და ამ სახეობის ე. წ. „მატერიალური ნაწილის“ — ნავის კორპუსების, ანძების, აფრების და სხვა ინვენტარის ნაკლებობაზე ჩივილით დაიწყო. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ უცხოური საიალქნო ნაწარმი, ურომლისოდაც მაღალი შედეგების მიღწევა ძნელია, ყველას არ ყოფნის. ჩვენს აფროსნებს ყოველთვის არც სამამულო წარმოების ნავები აქვთ საკმარისი რაოდენობით. აფროსნობაში მომეცადინეთა უსაფრთხოებისათვის აუცილებელია მათ მწვრთნელი სტაციონარული ანუ დიზელის ძრავიანი კატერით გაჰყვეს, რადგან ე. წ. „დასაკიდი“, მოსახსნელი მოტორი შეიძლება მცირე ტალღამაც დაასველოს და ჩააქროს. სწორედ ასეთი კატერების, აგრეთვე ნავების გადასაზიდი კონსტრუქციების ნაკლებობას, განიცდიან ჩვენი საიალქნო კლუბები.

ძირითად პრობლემად კი, ცხადია, საიალქნო სპორტული ბაზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გაჭიანურება უნდა მივიჩნიოთ. საქართველოში აფროსნობა ძირითადად ოთხ ქალაქში — ბათუმში, ფოთში, სოხუმსა და თბილისშია კულტივირებული. თუ ბათუმის ბაზაზე ჯერჯერობით საყვედური არ გვეთქმის, თბილისისა და სოხუმის საიალქნო ბაზები აშკარად ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. ამ სახეობის შემდგომი განვითარებისათვის მათი რეკონსტრუქციაა საჭირო.

საიალქნო კლუბები სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის“ რესპუბლიკური საბჭოსგან, აჭარის, აფხაზეთის, თბილისისა და ფოთის სპორტკომიტეტებისგან მეტ პრაქტიკულ დახმარებას მოელიან. კერძოდ, დახმარება ჭირდებათ იმისათვის, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოაღონიერონ, საწვრთნელ-საყოფაცხოვრებო პირობები გაიუმჯობესონ, ნავები შეიძინონ და ა. შ.



არ იფიქროთ, სიონის ბაზაზე ნანახი გამონაკლისი შემთხვევა იყოს. სამწუხაროდ, ამგვარ უწესრიგობას ბევრ ჩვენ სანიჩბოსნო ბაზაზე იხილავთ. ვინ გაგვამტყუნებს, რომ ამ ნათურის ანთება შიშით ვერც კი გავბედეთ. იქვე ბიჭებს კარადის მაგივრობას რამდენიმე ლურსმანი უწევდა. ახეთი ელინგი კი გინდ ყოფილა და გინდ არა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ფოთის ნავსადგურის საიალქნო კლუბი დღემდე ვერ ჩადგა მწყობრში. ამჯერად ფოთელ აფროსნებს შეპირდნენ, რომ მშენებლობას 1986 წლის ბოლოსათვის დაამთავრებენ. თუ ამ კლუბთან მოხერხებული ნავსაყუდელიც მოეწყობა, მაშინ ფოთის საიალქნო კლუბი საუკეთესო ბაზად იქცევა ჩვენი რესპუბლიკის აფროსნებისათვის — მათ შეეძლებათ მომავალი სპარტაკიადებისთვისაც აქ მოემზადონ და მაღალი რანგის შეჯიბრებებიც აქ მოაწყონ. არადა, მშენებლობის დამთავრებას თითქოს აღარაფერი უკლია.

ცხადია, ოპტიმიზმის საფუძვლად მარტო აფროსანთა დაბინავება არ ჩაგვითვლია. იმედი უფრო საქართველოს სპორტკომიტეტის ფოთის სანიჩბოსნო ბაზაზე დაწყებულმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა ჩაგვისახა. როგორც აღვნიშნეთ, ქართველი ნიჩბოსნები ტრადიციულად აქ იკრიბებიან და შეჯიბრებებსაც აქ აწყობენ. რესპუბლიკის სპარტაკიადის პროგრამით ჯერ ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნებმა იასპარეზეს. პირველად სტარტზე გოგონები გამოვიდნენ. 500 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში რუსთაველმა რუსიკო ბარაბაძემ გაიმარჯვა — ფინიშამდე აღარაფერი რჩებოდა, როცა მან დაწინაურებულ თბილისელს ირინე ძებისოვას გაუსწრო. გოგონებზე საუბარი უფრო იმიტომ წამოვიწყეთ, რომ საქართველოს სპორტკომიტეტის ფოთის სანიჩბოსნო ბაზაზე ისეთი საწვრთნელ-საყოფაცხოვრებო პირობებია, სპორტსმენი გოგონები ნამდვილად შეგეცოდებათ. ისედაც მომქანცველ სახეობაში მომეცადინეებს, შეკრებაზე ყოფნისას ისეთ პირობებში უხდებათ ცხოვრება და ვარჯიში, რასაც სხვა სახეობაში მოვარჯიშე ვაჟები ვერც კი წარმოიდგენენ. და აი, როგორც იქნა, ამ ბაზაზეც დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აშენდა სასადილო, რომელიც წელს, სექტემბერ-ოქტომბერში უნდა გაიხსნას. გეგმის მიხედვით წელს უნდა დამთავრდეს აბანოს მშენებლობაც. მომავალ წელს კი 100 კაცისთვის გათვალისწინებული საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაიწყება, მოეწყობა ელინგი. ერთი სიტყვით, ეს ბაზა მეათე სპარტაკიადისთვის მზადების დროს მაინც ჩადგება მწყობრში. თუმცა იქნებ მომავალ „დალხინებულ ცხოვრებაზე“ ლაპარაკს, სჯობდეს ორი სიტყვა ვთქვათ საქმისადმი იმ გულგრილ დამოკიდებულებაზე, რასაც იმაზე მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე მოუწესრიგებელ საწვრთნელ ბაზებსა და ვარჯიშის არასახარბიელო პირობებს: გუნდური პირველი ადგილი თბილისელმა ნიჩბოსნებმა დაიკავეს, მეორე — რუსთაველებმა, მესამე — აფხაზეთის წარმომადგენლებმა, მეოთხე — ფოთელებმა (ქუთაისის, მცხეთისა და აჭარის გუნდები მომდევნო ადგილებზე გავიდნენ). არადა, რომელი რეგიონი უფრო უნდა გვეიმედებოდეს თუ არა ფოთი? სხვაგან სად უნდა იზრდებოდნენ ისეთი პერსპექტიული ნიჩბოსნები, რომლებიც თავს ისახელებდნენ რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე? აფხაზეთის გუნდმა ნამდვილად იყოჩაღა, მაგრამ განსაკუთრებით გაგვახარა იმან, რომ ამ გუნდის შემადგენლობაში (მწვრთნელი — აქილევს მავროფიდი) ისეთი სპორტსმენი აღმოჩნდა, რომელსაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვუწოდოთ საიმედო რეზერვი. 1971 წელს დაბადებულმა სოხუმელმა კანოისტმა ირაკლი ხოშტარიამ (ასაკის გამო შეჯიბრებაზე გამონაკლისის სახით რომ დაუშვეს) ტოლი არ დაუდო უფროსებს და ორივე დისტანციაზე (500 და 1000 მეტრი) მხოლოდ გამოცდილ თბილისელთან დავით გვორქიანთან დამარცხდა. მეორე ადგილზე გასულ რუსთავის გუნდზე თითქოს საყვედური არ უნდა გვეთქმოდეს, მაგრამ... გამოირკვა, რომ რუსთაველ სპორტსმენებს სპარტაკიადისწინა შეკრებაზე უარი უთხრეს და მთელი პასუხისმგებლობა გუნდის გამოსვლაზე ნაკრებში მომუშავე რუსთაველ მწვრთნელს ვალერი მერკატუნს დააკისრეს. პასუხად ვალერიმ და მისმა აღზრდილმა ნაკრების წევრებმა თავი არ დაზოგეს და საპატიო საპრიზო ადგილი მოიპოვეს. რუსთაველთა საწვრთნელი პირობებით თუ დაინტერესდებით, დარწმუნდებით, რომ მათი ბაზა უარესი თუ არა, სხვებზე უკეთესი არაფრით არის. აი, ასეთ პირობებში მომუშავე და მომეცადინე რუსთაველი ოსტატ-შეგირდები ასეთ შედეგებს აღწევენ, ქალაქის სპორტკომიტეტი კი მათ ასე „ეხმარება“.

ჩვენი ნიჩბოსნობის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი ე. წ. „ადგილებზე მუშაობა“ გახლავთ. აკადემიურ ნიჩბოსანთა რესპუბლიკური სპარტაკიადის გუნდური შედეგების ცხრილი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ ვინ როგორ შევსებას აძლევს ნაკრებს და სად როგორ მუშაობენ მწვრთნელები. პირველ და მეორე ადგილებზე გასულმა თბილისელმა და ქუთაისელმა ნიჩბოსნებმა ქულათა დიდი სხვაობით გაუსწრეს მეტოქეებს. მაგრამ როცა ნიჩბოსნობის განვითარებისთვის ისეთი ხელსაყრელი რეგიონების გუნდები, როგორიც აფხაზეთი და აჭარაა, მხოლოდ მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გადიან, ვის გაუკვირდება ის ფაქტი, რომ ამჟამად საქართველოს აკადემიურ ნიჩბოსანთა ნაკრებ გუნდში არც ერთი სპორტსმენი არ არის ამ რესპუბლიკებიდან? ამიტომაა საქართველოს აკადემიურ ნიჩბოსანთა ნაკრების მწვრთნელებს ხშირად ოცნებაც რომ არ შეუძლიათ სასელექციო მუშაობაზე. თუმცა, ადამიანი იმისთვის გაჩნდა, რომ იოცნებოს, ჰოდა, ჩვენი მწვრთნელებიც ოცნებობენ, ოცნებობენ იმაზე, რაც მათი ბევრი მეტოქე-კოლეგისათვის დიდი ხანია ოცნების საგანს არ წარმოადგენს. ძირითადად მაინც ნორმალურ, ჩვეულებრივ სამუშაო პირობებზე ოცნებობენ. ნუ ავჩქარდებით და ნუ ვიტყვით „თუ ნატვრაა, ბარემ მართლა სანატრელი ინატრონო“. აქ მოტანილი სურათები, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ახლახან სიონში შეკრებაზე მყოფი აკადემიური ნიჩბოსნობის გუნდის ბაზაზე გადაიღო, კარგად გვიჩვენებს რა გახდომიათ სანატრელი მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. 1967 წელს ჩვენს ნიჩბოსნებს სიონის წყალსაცავზე ამორტიზებული შენობა დაუთმეს. სპორტსმენებს იმედი ჰქონდათ, რომ შენობა საფუძვლიანად შეკეთდებოდა. საფუძვლიანის რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი-ორჯერ აქა-იქ კი შეალამაზეს. ეგ იყო და ეგ. დღეს ბაზა სავალალო მდგომარეობაშია. ოთახები ცუდადაა განათებული, ფანჯრები ჩამტვრეულია, არა დგას კარადები. კედლებზე შეთითხნილი უფრო ითქმის, ვიდრე შეღებილი, სპორტსმენებს იმ დღეს ზეიმი აქვთ, როცა თბილი წყლის გადავლების საშუალება ეძლევათ. განსაკუთრებით სავალალო დღეშია ელინგი. არადა, ამასწინათ აქედან მოსკოვში „დიდ რეგატაზე“ გამგზავრებულმა ქართველმა აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატებმა წარმატებით იასპარეზეს: ჩვენი ნიჩბოსნების ოთხმა ეკიპაჟმა ფინალურ რბოლაში მიიღო მონაწილეობა.

1988 წელს სიონის ბაზაზეც აპირებენ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებას, ასე რომ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოსა და ტრესტ „საქსპორტრემშენს“ დიდი სამუშაოები ელით. მათ გულმოდგინებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ამ სახეობის შემდგომი ბედი ჩვენს რესპუბლიკაში.

ყველაზე კარგი პერსპექტივა, ანუ ყველაზე კარგი ბაზა ახლა ჩვენს წყალმოთხილამურეებს აქვთ. ფოთში, მალთაყვის ტყე-პარკის მიდამოებში, „ოქროს ტბაზე“ ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველომ ისეთი ბაზა გააშენა, რომ ბევრს შეშურდება. ჩვენს საწყლოსნო სახეობების წარმომადგენლებს, როგორც იქნა, გაუჩნდათ სამაგალითო სპორტული ობიექტი. თავში რომ სასიამოვნო გამონაკლისი ვახსენეთ, სწორედ ეს ბაზა გვქონდა მხედველობაში. დიახ, წყალმოთხილამურეთა სპორტული კლუბი „აია“, მისი მომავალი, ამ ბაზაზე მოვარჯიშე საქართველოს წყალმოთხილამურეთა ნაკრები გუნდის სასპარტაკიადო სამზადისი მართლაც ცალკე საუბრის თემაა.

**თამაზ მიგრიაული,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

# მექსიკა—86



# პირველი ეტაპი დამთავრდა

12 ივნისს მექსიკის ქალაქებში ...ადალახარასა და მონტერეიში ...ამართა მსოფლიოს XIII საფეხ-...ურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა ...რი შეხვედრა, გუშინ კი შედგა ...რი მატჩი V ჯგუფში. დადგა ...ერვედფინალის ეტაპი!

გვადალახარაში ბრაზილიელებმა ...დი უპირატესობით ითამაშეს ...რდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან. ...სოფლიოს სამგზის ჩემპიონები, ...ტყობა, ან ახლა შევიდნენ ნამ-...ვილ საბრძოლო ფორმაში, ან ...ოლოდ ჯგუფური ტურნირის და-...სრულს ავლენენ მთელ თავიანთ ...საძლებლობებს. ბრაზილიელებმა, ...როგორც გახსოვთ, პირველ ტურში ...ძიმე ბრძოლის შემდეგ დაამარ-...ცხეს ესპანელები — 1:0, შემდეგ ...ასეთივე მინიმალური ანგარიშით ...მოუგეს ალჟირელებს, ახლა კი ...ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან ...სრული ძალით ითამაშეს, მსოფ-...ლიო ჩემპიონატის საპატიო სტუ-...მრმა პელემ აღნიშნა, „თუ ბრა-...ზილიელები მომავალშიც ისე ითა-...მაშებენ, როგორც 12 ივნისს, წა-...რმატება მათ გარანტირებული ...აქვთ".

...უკვე პირველ ტაიმში ანგარიში ...გახსნა კარეკამ. შემდეგ მცველმა ...ჯოსე ალდოუ მაურუმ შორი მანძილი-...დან ბრწყინვალე ბურთი გაიტანა ...ჩრდილოირლანდიელთა კარში, ...ბოლოს კი კარეკამ საბოლოო წერ-...ტილი დაუსვა დიდი ანგარიშით გა-...მარჯვებას — 3:0.

...მონტერეიში თამაშობდნენ იმა-...ვე IV ჯგუფის წარმომადგენლე-...ბი: ესპანეთი და ალჟირი. ალჟი-...რელებმა წინა ორ შეხვედრაში კა-...რგი თამაშით გამოიჩინეს თავი, ...მაგრამ ამჯერად ვერაფერი გააწ-...ყვეს ესპანელებთან და დიდი ან-...გარიშით დამარცხდნენ — 0:3. 2 ...ბურთი გაიტანა კალდერომ, ერ-...თი — კარასკომ.

...გუშინ გაიმართა ჩემპიონატის ...ჯგუფური ტურნირების ბოლო 2 ...მატჩი: დანია — გერმანიის ფედე-...რაციული რესპუბლიკა, შოტლან-...დია — ურუგვაი.

I პროგრამით 23 საათიდან თბილი-სის დროით.

საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები მექსიკაში ჩასვლის შემდეგ ქ. ირაპუატოში ცხოვრობს, რომელიც სულ რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაცილებული ლეონს.

● **ჩვენი** გუნდის შედეგები III წინასწარ ჯგუფში კარგად გვახსოვს. საბჭოთა ფეხბურთელებმა 2 ივნისს ირაპუატოში ანგარიშით 6:0 დაამარცხეს უნგრეთის ნაკრები, 5 ივნისს ლეონში ფრედ ითამაშეს საფრანგეთის გუნდთან — 1:1, ხოლო 9 ივნისს კვლავ ირაპუატოს სტადიონზე მოუგეს კანადის ნაკრებს — 2:0. 5 ქულით 6 შესაძლებლიდან, გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით 9—1 საბჭოთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა თავის ჯგუფში და ჩემპიონატის ფორმულით, როგორც მოგახსენეთ, მერვედფინალში ბელგიის გუნდს შეხვდება. მექსიკიდან იუწყებიან, რომ ინტენსიურად ვარჯიშობს და საბრძოლო ფორმაში შედის ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ო. პროტასოვი, ექიმები იმედოვნებენ, რომ მალე დაუბრუნდება მწყობრს ა. ჩივაძე, რაც შეეხება ო. ბლოხინს, მან მცირე ტრავმა მიიღო კანადელებთან შეხვედრაში და შესაძლოა 15 ივნისს ითამაშოს ბელგიელებთან.

● **ბელგიის** ნაკრები საერთაშორისო ფეხბურთში აღიარებული ძალაა, თუმცა, ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ეს გუნდი მხოლოდ უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ გავიდა: ბელგიელებმა და ჰოლანდიელებმა ევროპის ზონის სხვადასხვა ჯგუფში მეორე ადგილები დაიკავეს, დებულების თანახმად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ მექსიკის საგზურის მოსაპოვებლად, ორი მატჩის ჯამში (1:0, 1:2) ბელგიელებმა გაიმარჯვეს და მსოფლიოს XIII ჩემპიონატის ფინალშიც გავიდნენ, სადაც ისინი მეორე შესარჩევ ჯგუფში გამოდიოდნენ.

პირველი მატჩი ბელგიის ნაკრებმა მექსიკელებთან წააგო — 1:2, შემდეგ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ერაყის ნაკრები, ბოლოს კი ფრედ ითამაშა პარაგვაელებთან — 2:2, ბელგიელებმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს მექსიკისა და პარაგვაის გუნდების შემდეგ და მერვედფინალში ჩვენს მეტოქეებად მოგვევლინენ.

ბელგიის ნაკრებს ხელმძღვანელობს ცნობილი მწვრთნელი გი ტისი, რომელიც 1976 წლიდან უდგას გუნდს სათავეში. ბელგიელი ფეხბურთელები ე. წ. ათლეტური ფეხბურთის წარმომადგენლები არიან, არ ერიდებიან ძალისმიერ ბრძოლას და კომბინაციურად მოქმედებენ. გუნდის ძირითადი სამოქმედო სქემაა 4+4+2.

ბელგიელებმა შვიდჯერ მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში და მხოლოდ ბოლო ორი, ესპანეთისა და მექსიკის ჩემპიონატების შემდეგ შეძლეს პირველი ეტაპის სიძნელეთა წარმატებით დაძლევა.

ბელგიის ნაკრების უძლიერესი რგოლია ნახევარდაცვა, რომელსაც გუნდის კაპიტანი იან კულემანი მეთაურობს. გარდა კაპიტნისა, გამოირჩევიან მეკარე ჟანმარი პფაფი, აგრეთვე, ენცო შიფო, ფრანკ ვერკოტერენი, ერვინ ვანდენბერგი, ალექს ჩერნიატინსკი და სხვანი.

ერთი სიტყვით, ბელგიის ნაკრები სერიოზული მეტოქეა, ჩვენს გუნდს 15 ივნისს შეუპოვარი, მძიმე ბრძოლა აქვს გადასატანი.

საბჭოთა კავშირისა და ბელგიის ფეხბურთელები ნაკრები გუნდების დონეზე დღემდე ოთხჯერ არიან ერთმანეთთან ნათამაშევი. ოთხივე მატჩი საბჭოთა გუნდმა მოიგო გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებით 7:1.

## მერვედფინალის წყვილები

### ...კავშირი — ბელგია

...საბჭოთა ფეხბურთელები მექ-...სიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემ-...პიონატის ფინალურ შეჯიბრებათა ...მეორე ეტაპზე, მერვედფინალში, ...ბელგიის ნაკრებს შეხვდებიან.

...მატჩი 15 ივნისს გაიმართება ...ლეონში. თამაშის ტრანსლაციას ...გვით ცენტრალური ტელევიზიის

### მექსიკა — ბულგარეთი

მექსიკელებმა, ისევე როგორც 1970 წელს, წარმატებით განვლეს ჯგუფური ტურნირი და მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში მეორედ მოიპოვეს მეორე ეტაპზე თამაშის უფლება. მექსიკელები 16 წლის წინათ მეოთხედფინალში გავიდნენ (აქ დამარცხდნენ იტალიელებთან — 1:4) და ეს მათი საუკეთესო მაჩვენებელია. მექსიკელებს ამ მიღწევის გასამეორებლად ახლა ბულგარეთის გუნდის დამარცხება დასჭირდებათ. ეს უკანასკნელი კი მეხუთედ მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, მეორე ეტაპზე კი პირველად გავიდა. თუ გავითვალისწინებთ ამ გუნდების ახლანდელი მომზადების დონეს, ფავორიტად, ალბათ, მასპინძელთა ნაკრები უნდა ჩავთვალოთ.

### ბრაზილია—პოლონეთი

ბრაზილიის ნაკრებს, რომელიც სამჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი, ყოველთვის ფავორიტთა შორის იხსენიებენ, გამონაკლისი არც მიმდინარე ჩემპიონატია. ძლიერია პოლონეთის ეროვნული გუნდიც. ბოლო სამ მსოფლიო ჩემპიონატში პოლონელები ორჯერ იყვნენ მესამე ადგილზე! სხვა საქმეა, თუ როგორი მომზადებული შეხვდებიან ეს გუნდები მერვედფინალურ მატჩს. ჯერჯერობით ორივე ბანაკის მომხრენი თავიანთი გუნდების თამაშით უკმაყოფილებას გამოხატავენ.

### იტალია—საფრანგეთი

ეს მატჩი, ალბათ, ცენტრალურია მერვედფინალურ ეტაპზე. ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიო ჩემპიონი — იტალიის ნაკრები და ევროპის ჩემპიონი — საფრანგეთის ეროვნული გუნდი! რა თქმა უნდა, მეტოქეები ადვილად არაფერს დაუთმობენ ერთმანეთს. ამ გუნდების შეხვედრათა ისტორიული ბალანსიც და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები (+2-0=4 5-2) იტალიელთა უპირატესობაზე მეტყველებს, მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ორივე გუნდმა საკმაოდ კარგად ითამაშა პირველი ეტაპის მატჩებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლა ისინი კიდევ უკეთესად იასპარეზებენ.

### მერვედფინალური წყვილები და... მათი ვარიანტები

მსოფლიო ჩემპიონატის გუშინდელ, ბოლო მატჩებამდე გათამაშების პირველი ეტაპის წინასწარ ჯგუფებში გამოვლინდა მერვედფინალური ეტაპის 18 მონაწილე, გუშინ კი გაირკვა ამ ეტაპის კიდევ 8 გუნდი: გთავაზობთ მერვედფინალის ხუთ წყვილს:

15 ივნისი. მეხიკო. მექსიკა — ბულგარეთი.
15 ივნისი. ლეონი. სსრ კავშირი — ბელგია.
16 ივნისი. გვადალახარა. ბრაზილია — პოლონეთი.
17 ივნისი. მეხიკო. იტალია — საფრანგეთი.
18 ივნისი. მეხიკო. ინგლისი — პარაგვაი.

გუშინდელ დღემდე ჯერ კიდევ იყო სხვა მერვედფინალური წყვილების ვარიანტები:

16 ივნისი. პუებლა. არგენტინა — ურუგვაი (ან შოტლანდია)
17 ივნისი. მონტერეი. მაროკო — დანია (ან გფრ).
18 ივნისი. კერეტარო. ესპანეთი — დანია (ან გფრ).

# სოკრატესი გულახდილად ლაპარაკობს

...როიტერის სააგენტოს კორეს-...პონდენტის აზრით ფეხბურთელთა ...მსოფლიო ჩემპიონატის მესამე კა-...ლენდარული დღე სკანდალური გა-...მოდგა: ავსტრალიელმა არბიტრმა ...კ. ბემბრიჯმა ესპანელ მიჩელის ...მიერ ბრაზილიელთა კარში გატა-...ნილი გოლი რატომღაც არ ჩათ-...ვალა.

...კორესპონდენტის აზრით, 40 ...წლის გადაცილებული ბემბრიჯი ...ასეთი საპასუხისმგებლო შეხვედ-...რის მსაჯად არ უნდა დაენიშნათ. ...შესაძლოა, მან ზუსტად დაიცვა ...ფიფა-ს წესები და საბოლოო გა-...დაწყვეტილება გვერდით მსაჯთან ...კონსულტაციის შედეგად მიიღო, ...მაგრამ ფაქტია, რომ ესპანელებს ...ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს.

...ინციდენტს მსოფლიო პრე-...სა ერთხმად გამოეხმაურა:

„...გაძეტა დელო სპორტი" (იტა-...ლია): „ბრაზილიამ სკანდალური ...გამარჯვება მოიპოვა. არბიტრმა და გვერდითმა მსაჯმა რატომღაც ვერ დაინახეს მიჩელის ბრწყინვალე გოლი".

„**სან**" (დიდი ბრიტანეთი): „ბრაზილია ყველაზე იღბლიანი გუნდი აღმოჩნდა. იგი გადაარჩინა სიბერის პირას მისულმა სოკრატესმა და გვერდითმა მსაჯმა".

„**ა-ბე-ცე**" (ესპანეთი): „ბრაზილიელებმა ავსტრალიელი მსაჯის დახმარებით გაიმარჯვეს. მიგელ მუნიოსი არ ტყუოდა, როცა განაცხადა: „ასე ჩვენ ვერავის ვერ მოვუგებთ".

„**დიარიო-16**" (ესპანეთი): „მიჩელის შესანიშნავი დარტყმის შემდეგ, რომელიც კარის აღებით დაგვირგვინდა, ესპანელები დამარცხდნენ".

„**პოლიტიკენი**" (დანია): „ესპანელებს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს".

მსგავსი გამონათქვამები იმ საბედისწერო მატჩის შემდეგ ბევრი იყო, მაგრამ ყველაზე დიდი ინტერესი მაინც სოკრატესის ინტერვიუმ გამოიწვია. მისი განცხადებით, ყველა მატჩი ბრაზილიისა და მექსიკის გუნდების მონაწილეობით წინასწარ არის დაგეგმილი. „გოლი, რომელიც ესპანელებმა ჩვენ კარში გაიტანეს და რომელიც ავსტრალიელმა კრისტოფერ ბემბრიჯმა არ ჩათვალა, ნაღდი იყო. არბიტრის გადაწყვეტილებამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა იმაში, რომ ჩვენ და მექსიკელებს ყოველგვარ პირობებს გვიქმნიან წინ გავიდეთ, ასეთ უსამართლობას კონკრეტული ინტერესები განაპირობებს. ჩვენ და მექსიკა რომ პირველსავე ეტაპზე გამოვეთიშოთ შეჯიბრებას, მაყურებელთა რაოდენობა სტადიონებზე შესამჩნევად შემცირდება, მსოფლიო ჩემპიონატი კი დიდი კომერციული ღონისძიებაა".

მაგრამ სოკრატესს თავისი კოლექტივი სუსტ გუნდად როდი სურს წარმოადგინოს. „ჩვენ თუ ჩემპიონატს მოვიგებთ, ეს მაინც ჩვენი, ფეხბურთელების დამსახურება იქნება. მსაჯების მხარდაჭერა არ გვჭირდება. არა და ძლიერი გუნდები მსოფლიო ჩემპიონატებში მუდამ მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ასეა ახლაც. არა მგონია, რომ ინგლისის, იტალიის, გერმანის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის, ბრაზილიის ან მექსიკის გუნდების კარში არბიტრმა პენალტი დანიშნოს თუ ანგარიში თანაბარი იქნება".

სოკრატესის აზრით, ამგვარი მანიპულაციები ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის სასარგებლოდ ჯერ კიდევ 1962 წლიდან დაიწყო და მთელი ძალით 1982 წლის ჩემპიონატში გამოვლინდა. არც ისაა სწორი, რომ დიდ ბრიტანეთს შესარჩევ ტურნირებში რატომღაც სამ ადგილს უთმობენ, იმ დროს, როცა სხვა ქვეყნების ძლიერი გუნდები ყოველმხრივ შეზღუდულები არიან.

## ინფორმაცია

**ბუგოინოში** (იუგოსლავია) ...დიდოსტატთა საერთაშორისო საჭა-...დრაკო ტურნირში ბოლო, XIV ...ტურის წინ გაიმართა შეხვედრები ...გადადებული პარტიების დასამთა-...ვრებლად.

იუსუპოვმა მოუგო მაილსს, პორტიშმა — ტიმანს.

13 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: კარპოვი — 8 ქულა, სოკოლოვი, ლიუბოევიჩი — 7-7, იუსუპოვი, პორტიში, სპორი — 6,5-6,5, მაილსი — 5,5, ტიმანი — 5.

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" რეგბისტებმა პირველებმა მოიპოვეს საკავშირო თასის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალში თამაშის უფლება. 12 ივნისს გამართულ მეოთხედფინალურ მატჩში მოსკოველებმა საკუთარ მოედანზე ანგარიშით 6:0 დაამარცხეს ქუთაისის „მშენებელი". დანარჩენ ნახევარფინალისტთა ვინაობა 16 ივნისს გაირკვევა. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „ავიატორი" (კიევი) — „სლავა" (მოსკოვი), სსა (მონინო) — ასკ (ალმა-ათა), ეტს (კრასნოიარსკი) — „ფილი" (მოსკოვი).

## ახალი თასი

**წლეულს** შესრულდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების 50 წლისთავი, ამასთან დაკავშირებით დაწესდა ახალი პრიზი— სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი, რომელიც უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის გათამაშდება 21 სექტემბრიდან.

ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდები პირველ ეტაპზე დაიყვნენ 4 ჯგუფად, თითოეული 4-4 გუნდის შემადგენლობით:

**„ა" ჯგუფი.** „არარატი" (ერევანი), „დინამო" (თბილისი), „ნეფთჩი" (ბაქო), „ტორპედო" (ქუთაისი).

**„ბ" ჯგუფი.** „დინამო" (მოსკოვი), „ქაირათი" (ალმა-ათა), „სპარტაკი" (მოსკოვი), „ტორპედო" (მოსკოვი).

**„გ" ჯგუფი.** „დინამო" (კიევი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „ჩერნომორეცი" (ოდესა), „შახტიორი" (დონეცკი).

**„დ" ჯგუფი.** „დინამო" (მინსკი), „ჟალგირისი" (ვილნიუსი), „ზენიტი" (ლენინგრადი), „მეტალისტი" (ხარკოვი).

წინასწარ ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები თასის გათამაშების შემდგომ, ნახევარფინალურ ეტაპზე შეხვდებიან ერთმანეთს, ამასთან, მასპინძელი გუნდი განისაზღვრება წილისყრით.

თასის ფინალური მატჩი შედგება ნეიტრალურ მინდორზე, მისი ჩატარების ადგილს განსაზღვრავს სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ჯგუფურ ტურნირებში, ნახევარფინალებსა და ფინალში გამარჯვებული გუნდები განისაზღვრებიან სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულების შესაბამისად (თუ პრეტენდენტებს ყველა მაჩვენებელი ერთნაირი აღმოაჩნდათ, ჯგუფური ტურნირების გამარჯვებულები განისაზღვრება წილისყრით). თასის მატჩებში ნებადართულია 3 ფეხბურთელის შეცვლა.

გამარჯვებული დაჯილდოვდება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის გარდამავალი თასით.

## II ლიგა

11 ივნისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIII ტურის შეხვედრები: „დინამო" (სოხუმი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 1:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 3:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 1:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „გიანჯლიკი" (ბაქო) 2:1, „დილა" (გორი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 2:0, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ოლიმპია" (აშტარაკი) 2:1, „მეშახტე" (ტყიბული) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 3:2, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 1:0.

### II ლიგა, IX ზონა

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 14 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქიაფაზი" | 13 | 8 | 3 | 2 | 21-10 | 19 |
| „დილა" | 13 | 8 | 3 | 2 | 23-13 | 19 |
| „ლოკ." თბ. | 13 | 8 | 2 | 3 | 17-11 | 18 |
| „დინამო" | 13 | 8 | 1 | 4 | 21-13 | 17 |
| „კოლხეთი" | 13 | 7 | 2 | 4 | 22-18 | 16 |
| „მეშახტე" | 13 | 7 | 1 | 5 | 21-18 | 15 |
| „ლოკომ." ს. | 13 | 7 | 0 | 6 | 13-14 | 14 |
| „მეტალ." | 13 | 6 | 2 | 5 | 25-15 | 14 |
| „სპარტ." | 13 | 5 | 3 | 5 | 10-14 | 13 |
| „გიანჯლ." | 13 | 4 | 4 | 5 | 16-12 | 12 |
| „ავტომობ." | 13 | 4 | 2 | 7 | 22-22 | 10 |
| „ყარაბახი" | 13 | 4 | 2 | 7 | 22-24 | 10 |
| „არაზი" | 13 | 3 | 4 | 6 | 9-16 | 10 |
| „შირაკი" | 13 | 4 | 1 | 8 | 11-16 | 9 |
| „კოლხოზჩი" | 13 | 3 | 1 | 9 | 8-24 | 7 |
| „ოლიმპია" | 13 | 2 | 1 | 10 | 9-30 | 5 |

## ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება საფეხბურთო მატჩი სსრ კავშირის თასზე, თბილისის დინამოელები მიიღებენ დონის როსტოვის „როსტსელმაშს".

ფეხბურთის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ დღევანდელ მატჩში გათამაშდება ტრადიციული ერთგულების ლატარია, მსურველებს ლატარიის ბილეთები შეუძლიათ შეიძინონ მატჩის ბილეთებთან ერთად.

## საქართველოს მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადა

# ჩემპიონები მრავალშვილიანი ოჯახიდან

**ასეთი** რამ სპორტულ შეჯიბრებებში იშვიათად გვინახავს: საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე სპორტულ აკრობატიკაში ბათუმიდან სამი და ფშანავა გამოდიოდა. უფროსი დები ჯამილა და ლანა (მათთან ერთად სამეულში გამოდის დალი ბერიძე) ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს აკრობატებად ითვლებიან. აი, 9 წლის ალინა კი ახალბედაა. მიუხედავად ამისა, სპეციალისტებმა მისი დებიუტი საკმაოდ იმედიანად შეაფასეს. სხვათა შორის, ფშანავების ოჯახში, კიდევ ცხრა ქალიშვილი იზრდება. როგორც ჩანს, უფროს ფშანავებს მარტო ოლიმპიური დევიზი — „მთავარია შეჯიბრებაში მონაწილეობა" არ ამოძრავებდათ. მათ ჯგუფურ ვარჯიშში მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამჯერად სპარტაკიადაზე საქართველოს უძლიერესი სპორტსმენებიდან მხოლოდ მზია კოსტავა და ნატალია ვეტოჩკინა გამოდიოდნენ. საქმე ის გახლავთ, ჩვენი რესპუბლიკის ორი ნაკრები ამჟამად მოსკოვშია, სადაც მონაწილეობას მიიღებენ „კეთილი ნების თამაშების" პროგრამით მოწყობილ საჩვენებელ გამოსვლებში. ამის გამო ისინი რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე დებულებით ჩათვლას აძლევენ თავიანთ გუნდებს. უმეტეს სახეობებში „დუბლიორების" გამოსვლის მიუხედავად, შეჯიბრებამ ბევრი საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალება მოგვცა. სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე აშკარად აუმაღლებიათ ოსტატობა პერიფერიების წარმომადგენლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ასპარეზობაზე კვლავ ჩვეული ოსტატობით მოგვხიბლა საბჭოთა ნაკრების ყოფილმა წევრმა, მოხტუნავე ია ხოფერიამ. ის ტაშკენტის მოსწავლეთა სპარტაკიადის შემდეგ თითქმის ორი წელი არ უვარჯიშია, ამიტომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზის გათამაშებაში თავის შესაძლებლობებთან შედარებით უფერულად გამოვიდა. დღეს კი, როგორც ჩანს, გოგონა კვლავ ჩვეულ ფორმას იბრუნებს. იამ დიდი უპირატესობით მოიგო შეჯიბრება და სერიოზული განაცხადი გააკეთა ჩვენი ქვეყნის ხალხთა სპარტაკიადაზე წასასვლელად.



მარცხნიდან: ლანა, ალინა და ჯამილა ფშანავები.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.



ხარბიელზე არიან: ჯაბა ლომთაძე, რამაზ ბუზიაშვილი, თამაზ მღებრიშვილი, როინ სომხიშვილი.

**2Л3** — კვარცხლბეკი

გოგონები. **ხტომები:** ია ხოფერია — 45,88 (მწვრთნელი ნუგზარ ძუკაევი), დარეჯან მერაბაშვილი — 45,35, ირმა გოგინაშვილი — 45,02 (ყველა თბილისი). **წყვილები:** ნატალია ვეტოჩკინა, მზია კოსტავა — 47,25 (აჭარა, მწვრთნელი ნელი აფაქიძე), ლელა საპანაძე, ირმა ხაბულიანი 41,65 (ქუთაისი), სვეტლანა რეზნიკოვა, სვეტლანა ბაუერი — 39,98 (რუსთავი); **ჯგუფური:** ჯამილა ფშანავა, დალი ბერიძე, ლანა ფშანავა — 44,89 (აჭარა, მწვრთნელი ნელი აფაქიძე), ეკა ბედოევა, ფატიმა გასიშვილი, ინგა მეტრეველი — 43,4 (თბილისი), სვეტლანა ფიოდოროვა, ანაიდა ჩერმაკიანი, ეკატერინე ვალიევა — 41,96 (რუსთავი); **შერეული წყვილები:** კახა კუხალეიშვილი, ირინა ოვოიანი — 44,81 (თბილისი, მწვრთნელი გია მახარაშვილი). ზაზა კაჭკაჭიშვილი, ლალი ფურცხვანიძე — 40,92 (ქუთაისი), არტურ აფანასევი, ლია თურმანიძე 35,5 (ბათუმი).

**ბიჭები. ხტომები.** ჯონდო მარიდაშვილი — 47,72 (მწვრთნელი ალექსანდრე თედეევი), როლანდ მეტრეველი — 44,71. ალიოშა კონდრატიევი — 44,46 (ყველა თბილისი). **ძალისმიერი წყვილები.** ზვიადი კვაჭაძე. ზაზა ნინუა — 44,66 (თბილისი, მწვრთნელი გია კაკაშვილი), დიმიტრი ტრეგუბოვი, ალეკო ჯიქიძე — 40,59 (აჭარა), ზვიად ხუციშვილი, კახა ჯულუხაძე — 34,29 (თბილისი). **ჯგუფური.** ჯაბა ლომთათიძე, თამაზ მღებრიშვილი, რამაზ ბუზიაშვილი, როინ სომხიშვილი — 43, 86 (მწვრთნელი თამაზ ბუზიაშვილი), ზაზა ჯაბიშვილი, ალექსანდრე კოსტანოვი, ზურაბ ვანიევი, რომან სომხიშვილი — 43,03 (ორივე გუნდი თბილისიდანაა), გოჩა ფერაძე, ნურადინ ბინიატოვი, თამაზ გოგიძე, მირიან ტოკლიკიშვილი — 42,92 (რუსთავი).

**გუნდური.** თბილისი— 771,938, რუსთავი — 688,042, აჭარა — 654, 595.

## მეგობრის ხსოვნას

ამ რამდენიმე დღის წინ შეწყდა ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის ოთარ ტაბიძის გულისცემა. წავიდა ჩვენგან ნიჭიერი შემოქმედი, ჭადრაკზე უსაზღვროდ შეყვარებული მეცნიერ-ფილოსოფოსი (იგი იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამ დარგში რამდენიმე ფუნდამენტური შრომის ავტორი).

ოთარ ტაბიძე ყმაწვილკაცობაში ეზიარა ჭადრაკს და სწრაფად აუღო ალღო მის აზრსა და ლოგიკას. 40-იანი წლების ბოლოს იგი ქუთაისის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე იყო. 1947 წელს ქუთაისის ნაკრებმა მისი მონაწილეობით საქართველოს ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. მაგრამ ოთარ ტაბიძე არ გაჰყვა პრაქტიკული თამაშის გზას, თუმცა საიმედო მონაცემები ჰქონდა. მან ამჯობინა კომპოზიცია, რომელშიც თავიდანვე დიდი ფანტაზია და შრომისმოყვარეობა გამოამჟღავნა.

ოთარ ტაბიძემ კომპოზიციის სამყაროშიც მალე გაითქვა სახელი. 1957 წელს მან გაიმარჯვა საქართველოს კომპოზიტორთა I პირველობაში და სამსვლიანი ამოცანების შედგენაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

გთავაზობთ ო. ტაბიძის ერთ-ერთ გამარჯვებულ ამოცანას.

„შახმატი ვ სსსრ"

1948 წ.



შამათი სამ სვლაში

ამოხსნა: 1. ლa4. 1. ...fe 2. ლh4; 1. ..fg 2. ლd4; 1. ...f5 2. ლe4.

ოთარ ტაბიძის ამოცანები (იგი ძირითადად ამ ჟანრში მოღვაწეობდა) ხშირად იბეჭდებოდა მსოფლიოს საჭადრაკო პრესის ფურცლებზე, წარმატებით მონაწილეობდნენ საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში.

ოთარ ტაბიძემ კეთილი ხსოვნა დაუტოვა ყველას, ვინც მას იცნობდა. მისი ამოცანები სამუდამოდ დარჩა ქართული საჭადრაკო კომპოზიციის საგანძურში.

**თენგიზ გიორგაძე.**

## სპორტული მეგობრობის მერიდიანები

# ამხანაგური მატჩი ინდოეთის მოკრივეებთან

**რამდენიმე** დღის წინ ინდოეთიდან დაბრუნდა საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდი, რომელმაც აზიის ამ ქვეყნის გუნდთან ამხანაგური მატჩი გამართა. ჩვენ ვთხოვეთ დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს კრივში, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ **ზურაბ გუნიას**, მოეთხრო ამ მოგზაურობის შესახებ.

— ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი იყო სპორტსახკომის სამმართველოს უფროსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზაურ გვაჯავა, ერთ-ერთი წევრი კი ცნობილი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ოთარ რაგიმოვი, რომელმაც შეხვედრები იმსაჯა.

მასპინძლები გულთბილად შეგვხვდნენ, დიდ ყურადღებას გვაქცევდა ადგილობრივი პრესა. ჩვენ ვვარჯიშობდით ინდოელ მოკრივეებთან ერთად, მერე მატჩიც გავმართეთ, რომელიც ანგარიშით 6:3 მოვიგეთ. ჩვენი ბიჭებიდან წარმატებას მიაღწიეს ჟაკ აბრამიანმა (51 კგ), ალბერტ კაზანჯიანმა (57), გია სადალაშვილმა, იური სავოჩკინმა (ორივე — 63, 5 კგ), ეროსი მარგიანმა (67) და მამუკა შალამბერიძემ (91). ბრძოლები წააგეს ტიგრან უზლიანმა (51), ბადრი სამხარაძემ (60) და სპარტაკ ასანიძემ (+91). აღსანიშნავია, რომ სავოჩკინმა ნოკაუტით მოიგო ბრძოლა, სამხარაძეს წარბი გაუსკდა და მსაჯებმა მოხსნეს შეჯიბრებიდან. ხვიჩა ხდრიანი (54 კგ) ავად გახდა და რინგზე გამოსვლა ველარ შეძლო.

მასპინძელთაგან ყველაზე მეტად მომეწონა აზიის ჩემპიონი დ. ბატი. იგი კაზანჯიანის მეტოქე იყო. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჯ. სინგმაც. სხვათა შორის, ასანიძესთან ორთაბრძოლაში მას საეჭვო უპირატესობა მიანიჭეს. აღსანიშნავია, რომ ინდოელები ტექნიკის თვალსაზრისით შესამჩნევად ჩამოუვარდებიან ჩვენს მოკრივეებს, არც ტაქტიკური არსენალი აქვთ მდიდარი. სამაგიეროდ მეტად შეუპოვარი მებრძოლები არიან.

ახლა ჩვენი ნაკრები ნოვოროსიისკს გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაში. რუსეთის ამ ქალაქში ჩვენი თორმეტი მოკრივე იასპარეზებს. მათ შორის ბევრი რესპუბლიკის ძირითადი გუნდის წევრი და კანდიდატია. რომელთაც ხალხთა სპარტაკიადაში მოუწევთ გამოსვლა.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, 22-ე ტირაჟებისა, რომლებიც 1 ივნისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 754556 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (37 ბარათი) მოგება 1944 მანეთია, ოთხისთვის (1609) — 42, სამისთვის (28951) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 5969841 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3774) — 174, სამისთვის (130389) — 7.

**ეკრანზე და ეთერში**

**ცენტრალური ტელევიზია.** 14 ივნისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: გფრ — დანია (მეორე ტაიმი) — 10.10 (1); ურუგვაი — შოტლანდია (პირველი ტაიმი) — 14.45 (2); ურუგვაი — შოტლანდია (მეორე ტაიმი) — 15.45 (1);

**საქართველოს ტელევიზია.** 14 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: გფრ — დანია — 10.10; ურუგვაი — შოტლანდია — 15.45; ემზადებიან სპარტაკიადისათვის — 12.55; სსრ კავშირის თასი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) — 20.00; სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სტადიონი" — 21.45.

**საქართველოს რადიო.** 14 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — 9.15; რიტმული ტანვარჯიში — 11.40; სსრ კავშირის თასი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) — 21.00

## უიმბლდონის უვერტიურა

**ლონდონი.** 23 ივნისს დაიწყება მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული შეჯიბრება — უიმბლდონის ტურნირი. ასპარეზობის წინ ტრადიციისამებრ სხვადასხვა სახის მინი ტურნირები ეწყობა. ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობა სასარგებლოა, პირველ რიგში, აკლიმატიზაციის მიზნით.

ქალაქ ედგბასტონში სტარტი აიღო ტურნირმა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ლარისა სავჩენკო გამოდიოდა. პირველი შეხვედრა კრისტინ კინის (აშშ) მან შედარებით ადვილად მოუგო — 6:2, 6:3. მეორე ტურში კი დაძაბული ბრძოლის შემდეგ კლაუდია მონტეირო (ბრაზილია) დაამარცხა — 6:3, 7:5.

ჩოგბურთის სამეფო კლუბის შეჯიბრებამ თავი მოუყარა თითქმის ყველა ფავორიტს უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონის ბორის ბეკერის (გფრ) მეთაურობით. მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი პირველი წრის შემდეგ გამარჯვებულთა შორის იყო (ამერიკელ ტომი უორკს აჯობა — 6:4, 6:3), მაგრამ მეორე წრეში ბრძოლა ბორის ბეკერთან მოუხდა და დამარცხდა — 4:6, 2:6.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი აცხადებს მიღებას საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში 1986 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმში, ქართულ და რუსულ სექტორებზე, მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი (30 წლის ასაკამდე), რომელთაც აქვთ საშუალო და რვა კლასის განათლება. სწავლის ვადა რვა კლასდამთავრებულთათვის 3 წელია, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულთათვის — 2 წელი.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულს ენიჭება „ფიზიკური კულტურის მასწავლებლის კვალიფიკაცია".

ტექნიკუმში შემსვლელმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინოს: ატესტატი სკოლის დამთავრების შესახებ, მშდ-ს კომპლექსის ჩაბარების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან, სამედიცინო ცნობა № 086, 6 ფოტოსურათი ზომით 3X4, საკლასიფიკაციო ბილეთი.

პასპორტი, დაბადების მოწმობა და საბუთი სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს პირადად.

განცხადებების მიღება დაიწყება 1 ივლისიდან და შეწყდება გამოცდის დაწყებამდე ერთი დღით ადრე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება:

რვა კლასდამთავრებულთათვის — 4-დან 13 აგვისტომდე.

საშუალო სკოლის დამთავრებულთათვის — 15-დან 23 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები ტარდება:

სპორტის არჩეულ სახეობაში და საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

აგრეთვე: რვა კლასდამთავრებულთათვის — მათემატიკაში (ზეპირი), მშობლიურ ენაში (კარნახი). საშუალო სკოლადამთავრებულთათვის — სსრკ ისტორიაში (ზეპირი), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება).

სსრკ სპორტის ოსტატები გამოცდებიდან სპორტულ დისციპლინებში თავისუფლდებიან.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, საერთო საცხოვრებლით და სპორტული ფორმით.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ მისაღებ კომისიას.

მისამართი: ქ. თბილისი — 380025. კონსტიტუციის ქ. № 6. ტელ. 95-88-50; 95-79-37.

**დირექცია.**

შეკვეთა: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07517